

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების მნიშვნელობა, დაგეგმვა
და შეფასება საგადასახადო კანონმდებლობის ჭრილში

სტუდენტი: ეკატერინე მაისურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: დავით ხაჩიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ შესრულებულ ორიგინალურ ნამუშევარს. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო, როგორც სიმულაციური ნაშრომი კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის 2020-2021 წლის სამაგისტრო კურსის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში. ნაშრომში არ არის გამოყენებული სხვა სტუდენტების/ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან/და დასაცავად წარდგენილი მასალები. ნაშრომში ციტირებული საკითხები დაცულია სათანადო წესების შესაბამისად“.

ეკატერინე მაისურაძე

03 ივლისი 2021 წელი.

აბსტრაქტი

ნაშრომის შესავალ ნაწილში მოცემულია კონტროლირებული ოპერაციების არსი, მნიშვნელობა, აქტუალობა და გამოწვევები, კვლევის საგანი, კვლევის მიზანი და კვლევის თეორიულ/მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ნაშრომის პირველი თავში განვიხილავთ კონტროლირებული ოპერაციებისა და სატრანსფერო ფასების საერთაშორისო ხასიათს, როგორც საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების განუყოფელ კომპონენტს, მის მთავარ როლს თანამედროვე გლობალურ პროცესებში და პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნა აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებით.

სატრანსფერო ფასების არსის უკეთ გასაგებად, მკითხველს წარვუდგენთ საილუსტრაციო მაგალითებს. განვიხილავთ საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების ქართულ და საერთაშორისო საკანონმდებლო/სარეკომენდაციო ნორმებს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გაშლილი ხელის - „Arm's length“ პრინციპის გამოყენებას კორპორაციათა საერთაშორისო კომერციული ურთიერთობების დროს და მის ფუნდამენტურ როლს სატრანსფერო ფასების განსაზღვრაში.

ნაშრომის მეორე ნაწილი მთლიანად დაეთმობა ტრანსფერული ფასწარმოქმნის უმთავრესი პრინციპის - „შედარებადობის“ პრინციპის მიმოხილვას და საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მეთოდების სიღრმისეულ ანალიზს.

ნაშრომის მესამე თავში კი საილუსტრაციოდ (ინფორმაციის კონფიდენციალურობის სრული დაცვით) განხილულ იქნება პრაქტიკული მაგალითები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების კუთხით ჩატარებული საგადასახადო შემოწმებებიდან.

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების უცხოური პრაქტიკიდან აღებული მიდგომებისა და ჰიპოთეტური მოცემულობების ფონზე, საქართველოში პრაქტიკულად განხორციელებული საგადასახადო შემოწმებების განხილვა და ანალიზი დასკვნის სახით მკითხველს ნათლად დაანახებს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კუთხით საქართველოში არსებულ ვითარებას.

ნაშრომის თემაზე საუბრის დროს გამოყენებული იქნება ორი ძირითადი ტერმინი: საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაცია და ტრანსფერული ფასწარმოქმნა (ტრანსფერფრაიზინგი).

Abstract

The introductory part of the paper presents the essence, significance, urgency and challenges of controlled operations, the subject of the research, the purpose and the theoretical / methodological foundations of the research.

In the first chapter of the paper, we discuss the international nature of controlled transactions and transfer pricing as an integral component of international financial relations, its key role in modern global processes, and the problems that have arisen in connection with these transactions.

For better understand the essence of transfer pricing, we provide the reader with illustrative examples. We discuss Georgian and international legal / recommendatory norms of internationally controlled operations. Significant attention will be paid to the application of the "**Arm's length**" principle in the international commercial relations of corporations and its fundamental role in determining transfer pricing.

The second part of the paper will be devoted entirely to the review of the main principle of transfer pricing - the principle of "comparability" and in-depth analysis of methods of evaluation of international controlled operations.

The third chapter of the paper will illustrate (with full protection of the confidentiality of information) practical examples from tax audits conducted by the Revenue Service of the Ministry of Finance of Georgia in terms of internationally controlled operations.

Against the background of approaches and hypothetical data taken from the foreign practice of international controlled operations, the review and analysis of tax audits carried out in Georgia in practice will clearly show the reader the current situation in Georgia in terms of transfer pricing.

Two main terms will be used when talking about the topic of the paper: internationally controlled operations and transfer pricing.